პარასკევი, 22 ივნისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 134

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყ.ველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

**ივანე ახალშენიშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ქაშუეთის ეკლესიაში 23 თიბათვეს, რასაც მეუღლე განსვენებულისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. (2—უ.—1)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—76)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

**ქუთაისში**
ექიმი მაჭიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—32)

**სამკურნალო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.
**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ლაძღვინოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ბეგლარიოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კიმონძე:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 60 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—80)

ქ. ტფილისში, 24 ივნისიდან გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი
**„ახალი ქვეყანა"**
გაზეთის მიზანია ემსახუროს პროფესიონალურ მოძრაობას. გაზეთი გამოვა კვირაობით, ცალკე ნომერი ღირება ერთ შაურად.
ხელის მოწერა მეორე ნომრიდან. დროებითი ადრესი: სიმონოვის ქუჩა № 4, სტამბა „ნადეჟდა".

ამა 1907 წ. თიბათვის 20-დან
**ქ. სიღნაღში**
**იხსნება პირველი წიგნის მაღაზია**
**„ცოდნის წყარო"**
სადაც მკითხველი საზოგადოება იშოვის ყოველგვარ **წიგნს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე** და აგრეთვე **სასწავლო და საკანცელარიო ნივთებს.** ვთხოვ აგრეთვე **ავტორებსა და გამომცემლებს** გამოგვიგზავნონ **საკომისიოთ** თავიანთი **თხზულება გამოცემანი. ანგარიშს ვასწორებთ ყოველ სამ თვეში ერთხელ.**
ვკისრულობთ აგრეთვე **აგენტობას** და **რედაქციებს შეუძლიანთ მოგვმართონ თავიანთი პირობებით.**
გამგე მაღაზიისა **ივანე დიმიტრის ძე შავლიაშვილი.**
ადრესი: г. Сигнахъ, Книж. магазинъ „Цоднисъ цкаро" Ивану Димитріевичу г-ну Шавліашвили. (5—უ.—4)

**ამ მოკლე ხანში გამოვა**
ორ-კვირეული ჟურნალი
**რიჟრაჟი**
ჟურნალში მოთავსებული იქნება: პოპულიარულ სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები, ბელეტრისტიკა, ქრონიკა (შინაური და უცხოეთისა), ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიები სურათებით, ბიბლიოგრაფია და სხვა.
მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მწერლები ახალ-თაობისა.
პირველი ნომერი გამოვა 1-ლ ივლისს. №-რი შეიცავს 100-დე გვერდს და ეღირება 20 კ.
რედაქციის საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10-დან $11^{1}/_{2}$ საათამდე. ფოსტის ადრესიც ესაა. (5—უ—5)

კვირას, 24 ამ თვეს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე
გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა
**სალიტ რატურო დილა**
**სპარსეთის ქართველების შესახებ.**
1. **დავ. კარიჭაშვილი:** ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს.
2. **იაკ ცინცაძე:** ლ. ალნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში იქაურ ქართულ სოფლებში.
3. **ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი:** სპარსეთის ქართველების ყოფა-ცხოვრება.
ფასი 1 მან. 50 კაპ.-დან 20 კაპეიკამდის. (3—უ.—2)

**ღ ა მ ბ ა შ ი ძ ი ს**
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ღამბაშიძეს. (25—111—20)

**ბევრი სამუშაო**



მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მკეროვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.
ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.
კანტორა მსწრაფლ-მკეროვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—43)

ტფილისის ქალაქის თავის
**თან. აღმასრულებელი**
აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, ამა წლის 24 ივნისისთვის, „ტიფლისკი სობრანიეს" საზაფხულო სადგომში დანიშნულია დამატებითი არჩევნები ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მეორე და მესამე საარჩევნო უბნების ამომრჩევლებმა.
უნდა აირჩიონ მეორე უბნის ამომრჩევლებმა—არა ნაკლებ ხუთის კანდიდატისა, ხოლო მესამე უბნის ამომრჩევლებმა—ერთი ხმოსანი და არა ნაკლებ ექვსის კანდიდატისა.
არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე, ამასთან კენჭის ყრა გასტანს ნაშუადღევის ორ საათამდე. კენჭს უყრიან ყველა იმ კანდიდატს, ვინც ყუთი დაიდგა 3 და 10 ივნისის არჩევნებზე, იმათ გარდა, ვინც აღარ მოისურვებს კენჭის ყრას. კენჭს უყრიან აგრეთვე ამათ, ვინც მოისურვებს ამას.
იმათ, ვისაც 10 ივნისის აღებული შესასვლელი ბილეთები დაუკარგავთ, აგრეთვე იმათ, ვისაც ბილეთები სულ არ აუღიათ, საარჩევნო სიებში კი არიან შეტანილნი, შეუძლიანთ ბილეთები აიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ან თვით საარჩევნო კრებაზე, 24 ივნისს. (3—ნ.—2)

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ისტორიული მონოგრაფია
**„ამბოხება კახეთისა"**
**1812 წ.**
**ა. ფრონელისა.**
**ფასი ერთი მანეთი**
იქვე იყიდება **„მთიულეთი 1804 წ."** იმავე ავტორისა. (20—უ.—14)

**ქუთაისში**
წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების სააგენტო
**„იმერეთი"**
აცხადებს, რომ „ისრის" ქუთათურ ხელის მომწერლებს დროებით გაზეთის მიღება შეუძლიანთ სააგენტოს კანტორაში ბალახვანის ქუჩაზე (კოლხიდის ამხანაგობასთან). იქვე იყიდება როგორც „ისრისა", ისე სხვა გაზეთების ნომრები. (4—4)

ამ ცოტა ხანში გამოვა გასასყიდად ახალი წიგნი
**.. ს. გუელისა**
სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.
(3—უ.—3)

### ტფილისი, 22 ივნისი

რეაქცია სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველ სფერაში შეუჩერებლის ნაბიჯით მიდის წინ. მთავრობა ჩქარობს, სანამ „დღესასწაული მის ქუჩაზეა", უხვად ისარგებლოს მარჯვე შემთხვევითა და გარემოებით და status quo ante დაიბრუნოს ყველგან და ყველაფერში, სადაც-კი ეს მოხერხდება და რა გზითაც მოხერხდება. პრესსა, სასამართლო, ადგილობრივი მმართველობა—ყველა სფერა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებისა განიცდიან ამ „ახალ კურსის" გავლენას და ყველგან ამა თუ იმ სახით რეაქცია უკან იბრუნებს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს დათმობილ პოზიციებს. გასაკვირველი არაა, რომ მუშათა საკითხშიაც იგივე ხდება.

ამ სამის წლის წინად, პროლეტარიატის აქტიურმა გამოსვლამ, ქუჩებში ბრძოლამ, გამუდმებულმა გაფიცვებმა და ბოლოს პეტერბურგის ამბავმა 1904 წლის 9 იანვარს, მთავრობა დააფრთხო და აფიქრებინა, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშათა მდგომარეობას და ღონე რამ იქნას მიღებული მუშათა მოძრაობის მოსაწესრიგებლად. მას შემდეგ ბიუროკრატიულ მაშინის მოქმედება არ შეწყვეტილა: ყოველი „უწყება" შეუდგა მუშათა საკითხის განხილვასა და პროექტების თხზვას; კომისია კომისიას მოსდევდა და განსაკუთრებული თათბირი საგანგებო თათბირს. რასაკვირველია, თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ყველა ამ ცდას არავითარი ნაყოფიერი შედეგი არ მოჰყვა: მუშათა საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელ ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვებასთან და ბიუროკრატია მას ოდნავადაც ვერ გადაწყვეტს; მაგრამ ის-კი უტყუარია, რომ ამ სამი წლის წინად მთავრობას მართლა სურდა „მუშათა მოძრაობის მოწესრიგება", ე. ი. ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო პროლეტარიატის დამშვიდება და პოლიტიკურ ნიადაგიდან ბრძოლის გადატანა მარტო ეკონომიურ სფერაში. „ზუბატოვის ცდამ სამწუხარო ნაყოფი" მოუტანა ბიუროკრატიას და ეხლა სხვა გზის ძებნას შეუდგნენ. სხვათა შორის მაშინ ყველა „კომისია-კომიტეტ-სათათბიროებმა" განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მუშათა შორის პროფესიონალურს მოძრაობას. ბიუროკრატიულმა რეფორმატორებმა ხელი ჩასჭიდეს მუშათა ამ მოთხოვნას იმ იმედით, რომ პროფესიონალურ მოძრაობის ლეგალიზაცია და თავისუფლება შეასუსტებს მუშათა პოლიტიკურს ბრძოლასაო. ამიტომ ყოველი კომისია, ყოველი კომიტეტი, ყოველი განსაკუთრებული სათათბირო დაჟინებით იმეორებდა, საჭიროა პროფესიონალ კავშირების დაარსების ნება მიეცეს მუშებსაო. ბოლოს სამინისტრომაც შეიწყნარა ეს აზრი, მით უმეტეს, რომ ნამდვილად პროფესიონალური კავშირები ისედაც ვრცელდებოდა არა ლეგალურად. 1906 წელს 4 მარტს გამოიცა კანონი „საზოგადოებათა" ლეგალიზაციის წესების შესახებ და ამის მთავარი მოტივი სწორედ ის იყო, რომ „გაეადვილებინა მუშებისთვის პროფესიონალურ კავშირების" დაარსება. ჩვენ არ შევეხებით ამ კანონის უვარგის მხარეებს—ამაზე წინად არა ერთხელ გვქონია შემთხვევა და გვილაპარაკნია,—ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად მრავალის ნაკლისა, ამ კანონით კარგად შეეძლოთ ესარგებლათ მუშებს. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ბიუროკრატიული კანონი ქაღალდზე დაწერილი ერთია და სინამდვილეში მისი განხორციელება კიდევ სხვაა. მთავრობამ თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედა თავისსავე კანონს და სათანადო დაწესებულებანი გააფრთხილა, ყურადღებით იყავით, 4 მარტის კანონმა მავნე საზოგადოებანი არ გაავრცელოსო. „სათანადო დაწესებულებანი", რასაკვირველია, მაშინვე მიხვდნენ, რას მოითხოვს მათგან მთავრობა და იწყეს 4 მარტის კანონის, ისედაც შეზღუდვილისა და კუდმოჭრილის, შეზღუდვა-შემცირება. ბიუროკრატიულმა პრაქტიკამ მალე გააქარწყლა ბიუროკრატიული თეორია და პროფესიონალურ მოძრაობას ათასგვარი დაბრკოლება გაუჩნდა...

ასე იყო დღემდის; მაგრამ დღეს, როცა რეაქცია გაძლიერდა და გათავხედდა, „პრაქტიკა" საკმარისი არ გამოდგა და მთავრობამ აიღო და თავისავე კანონი „პოლიციის ზედამხედველობას" ქვეშ დააყენა. ამას უტყუარად გვიმტკიცებს ამ დღეებში ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორის მიერ გამოქვეყნებული „საიდუმლო" ცირკულიარი, რომელიც გვიხსნის ბოლო ხანებში გავრცელებულს რეპრესიებს პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ. ცირკულიარი პირდაპირ ამბობს, რომ პოლიციას თავისუფლად შეუძლია არავითარი ყურადღება არ ათხოვოს 4 მარტის კანონს და თუ დარწმუნდება, რომ ესა თუ ის პროფესიონალური კავშირი „მავნე მიმართულებისაა", არა თუ დახუროს ის, არამედ სამართალშიაც მისცეს მისი მონაწილენი. იქვეა ახსნილი, თუ როგორ შეიძლება პროფესიონალურ კავშირის „მავნე მიმართულების" გამოცნობა: თუ კავშირში მონაწილეობას იღებენ ს.-დემოკრატები ან სხვა სარევოლიუციო პარტიათა წევრები, ცხადია ასეთი კავშირი უპარტიო აღარ არისო და მავნე მოღვაწეობას ადგიაო! მკითხველი უკომენტარიოდაც თვითონ მიხვდება, რა სასტიკ პოლიციურს ზედამხედველობაში მიუცია მთავრობას თავისივე ღვიძლი შვილი—4 მარტის კანონი. ამიერიდან პოლიციას არ გაუჭირდება ყველა პროფესიონალური კავშირები მავნებლად გამოაცხადოს და დევნა დაუწყოს; აკი კიდეც დაუწყო...

ასეთია ბოლო თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ყოველის ახალის ცდისა. მას თავისი თავის აჩრდილისაც-კი ეშინიან და ფართო შემოქმედების სახელმწიფოებრივ ნიჭს როგორ გამოიჩენს. ყოველი მისი ნაბიჯი აღრმავებს და ამწვავებს კრიზისს. ლეგალურ ცხოვრების ზედაპირიდან განდევნილი მუშათა კავშირები ძალა-უნებურად ისევ „საიდუმლო ჯურღმულში მოექცევიან და კვლავ დაიწყება ის „უწესო მოძრაობა", რომლის შიშით იყო გამოცემული თვით 4 მარტის კანონიც. თან ერთხელ კიდევ დამტკიცდება, რომ ბიუროკრატიას არ ძალუძს არცერთ რეფორმის განხორციელება, ისეთისაც-კი, რომლის მომწიფებას და საჭიროებას თვითონაც არ უარჰყოფს.

## ახალი ამბავი

✦ **ხუთი მუშის მოკვლა და თორმეტის დაჭრა.** გროზნაში, ნავთის სამრეწველოებზე, საზარელი ამბავი მომხდარა. სააგენტოს დეპეშა ამის შესახებ გადმოგვცემს: „19 ივნისს დილით, როდესაც ნავთის სამრეწველოს შვიდ მუშას აპატიმრებდნენ, თავი მოიყარა აუარებელმა მუშამ. მუშებმა მოიწადინეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ჯარისკენ მიიწევდნენ და ლანძღავდნენ. ორჯელ გაფრთხილებისა და სამჯერ ნიშნის მიცემის შემდეგ ჯარმა თოფები გაისროლა. ხალხი გაიფანტა. დარჩა ხუთი მოკლულის გვამი და თორმეტი დაჭრილი".

✦ **სროლა.** 20 ივნისს, მთავარ სახელოსნოების მუშათა სადგომთან, ნაძალადევში, სახელოსნოების მცველმა ინგუშებმა (10 კაცმა) საშინელი სროლა ასტეხეს, რამაც მცხოვრებნი ძალზე დააფრთხო. მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამ დღეს, საღამოს 9 საათზედ, მუშათა სადგომის მახლობლად, მიმავალებულან ხელოსანი პავლოვი და მისი ამხანაგი ოპაჩენკო. ვიღაცებს რამდენჯერმე რევოლვერი უსროლიათ პავლოვისათვის და სამგან დაუჭრიათ. უცნობებისთვის სროლითვე პასუხი გაუცია ოპაჩენკოს. ხმაზე გაჩენილან ინგუშები და აუტეხნიათ სროლა. პავლოვის გარდა სხვა არავინ და-

ჭრილა. მისულა ჯარიც და შესდგომიან ჩხრეკას. რამდენიმე კაცი დაუპატიმრებიათ.

✦ **შეტაკება პოლიციასთან და ქალი აფიცრის ტანისამოსში.** თელავის მაზრაში შემდეგი ამბავი მომხდარა: წინანდალის ბოქაული სტრაჟნიკებით 12 ივნისს სოფელ ოჟიოსთან წამოსწევია რამდენსამე კაცს და აუტეხია სროლა. პოლიციის აზრით, უცნობები მძარცველთა ბრბოს ეკუთვნოდნენო. სროლის სტრაჟნიკებს მოუკლავთ აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი ერთი ქალი, აგრეთვე მიტრო უდიშვილი და ვანო ზურაშვილი; დაუპატიმრებიათ მიხეილ წულუკიძე. დაჭრილა აგრეთვე ურიადნიკი კონოვილი. პოლიციელებს, გარდა ამისა, ხელთ ჩაუგდიათ სამი ცხენი, ერთი ბერდანა და სხვა.

✦ **მწერლობა აფხაზებისთვის.** სოხუმის საეპარქიო სამრევლო-საეკლესიო სამოსწავლო საბჭოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს აბხაზთა მწერლობის შემუშავება, შუამდგომლობა აღსძრა მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საბჭოს წინაშე, რომ მოწვეულ იქმნენ გამოცდილი სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც უნდა შეუდგნენ აბხაზურს ენაზე სამხთო საეკლესიო წიგნების გადათარგმნას. ამისათვის კომისია თხოულობს 3000 მან. იოანე ოქროპირის წირვის წესი უკვე გადაუთარგმნია კომისიას და ნამესტნიკის სტამბაში გამოუგზავნია დასაბეჭდად.

✦ **წყალში დახრჩობა.** სააგენტოს დეპეშა იუწყება რომ ტიხვინში ბანაობის დროს, სრულიად შემთხვევით დაიხრჩო სა[illegible] ფხულოდ აქ ჩამოსული ტფ. სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ივანოვიო. დეპეშაში შეცდომაა: ივანოვი ინსპექტორად კი არა, მასწავლებლათ იყო სემინარიაში.

✦ **აფეთქება და სროლა.** 20 ივნისს, ნაშუადამევის 1 საათზედ, ვერაზედ ვილაცებს ქუჩაში დაუგდიათ თოფი წამლით გატენილი ცილინდრისებური მილი. მილი საშინლის ხმით გასკდა, რამაც ძალიან შეაშინა მთელი ამ კუთხის მცხოვრებნი. ცოტას ხანს შემდეგ ვიღაცებმა წყნეთის ქუჩაზე სროლა აუტეხეს ვაჭარს ისაევს. ისაევი გადარჩა.

✦ **მოთხოვნილებანი.** 17 ივნისს აფთიაქის პატრონს ვილარეტს ფარმაცევტებმა და სოფთიაქო შეგირდებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ვილარეტმა დააკმაყოფილა მოთხოვნილებათა ნაწილი-გენნი.

✦ **მკვლელობა.** ქართლში, სოფელ მეღრისში, როგორც ქალაქში ამბავი მოვიდა, 8 ივნისს 10 შეიარაღებული კაცი თავს დასცემია ამ სოფლის მცხოვრებს თაზო იკოშვილს და გაუცარცვავთ, შემდეგ სოფლის ბოლოში გაუყვანიათ და იქ მოუკლავთ. უცნობისთვის პოლიციას მდევარი დაუდევნებია.

✦ **მომავალ უნივერსიტეტის შესახებ.** კავკ. ნამესტნიკის თანაშემწემ მიცკევიჩმა ნამესტნიკს გაუგზავნა მოხსენება კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და მასალა, მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტის მიერ შეგროვილი.

✦ **სამრევლო-საეკლესიო საბჭო.** წარსულ იანვარს სინოდმა აცნობა აქაურ კანტორას, რომ რადგან საექსარხოსოს სამრევლო-საეკლესიო საოლქო სამოსწავლო საბჭო დაიხურა, იმის შესანახად ფული აღარ გადაიდებაო. ექსარხოსმა შუამდგომლობა აღძრა, დარჩეს საბჭო იმ დრომდე, ვიდრე დახურვა კანონის გზით გადასწყდებოდეს, და საჭირო ფულიც გადაიდოსო.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენ.-გუბერნატორის ბრძანებით, ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით ჰგზავნიან რკინის გზის ტფ. მთავარ სახელოსნოების მუშებს ლუკა ელბაქიძეს, ისაია სტრუჩალინს და სიმონ გუჯაბიძეს, რომელნიც „პოლიტიკურად არა საიმედო-კაცებად" უცვნიათ. იქვე სამხედრო წესების მოხსნამდე ჰგზავნიან სოლომონ კოჟურის და სანდრო სუხაშვილს, რომელთაც აბრალებენ ქუქარის წერილების დაგზავნას ფულის დასატყუებლად. აეკძრალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება სტეფანე უჩავას, კ. კევორქოვს, ს. ეგიაზაროვს, ბ. ბაღდასაროვს, ა. ხაჩატურიანცს, ა. სარქისოვს და ჩალხია ალუდაურს.

✦ **საარჩევნო სიები.** ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა სახელმწიფო სათათბიროსათვის საარჩევნო სიების შემდგენელთა შტატი. მოწვეულ იქმნა 13 კაცი გარეშე და ორიც ქალაქის სასტატისტიკო ბიუროს მსახური. გარეშეებს თვიურად დაენიშნებათ 60 მან. იმ პირობით, რომ მათ დღეში 8 საათი იმუშაონ: დილის 9 ს.—დან ნაშუადღევის 2 საათამდე და ს ღამოს 7—დან 10 საათამდე. სასტატისტიკო ბიუროს მსახურებს დამატებითი ფული მიეცემათ საღამოს მუშაობისთვის. გამგეობა სიების შემდგენელთ პირობასაც უდებს, არა[illegible] ნილება არ წარუდგინონ გა[illegible] არჩევნო სიების შედგენას შეუდგებიან 25 ივნისს. თუ კვირა-უქმეებში საჭირო იქნება მოხელეთა მოწვევა, თითოს მიეცემა 2 მან.

✦ **პოლიცმეისტერის დასაფლავება.** გუშინ კუკიის სასაფლაოზე დაასაფლავეს პოლიცმ. ბალაბანსკი, რომელმაც ამ ორი დღის წინად თავი მოიკლა. დაესწრნენ ნამესტნიკის მოადგილე, თანაშემწე, ქალაქის თავი და სხვა მოხელენი. დაესწრნენ აგრეთვე ამქრები თავიანთ დროშებით.

✦ **მემამულის მოკვლა.** სააგენტოს დეპეშის სიტყვით ქუთაისის საბალოსნო სკოლის ეზოში ორი ხი ტყვიით მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე სილოვან გამყრელიძე.

✦ ნება მიეცათ დაბრუნდნენ ჩრდილოეთის გუბერნიებში გადასახლებულებს სოფ. მუხრანის მცხოვრებს აკსიო ფირუმოვს და ბერსიმ კარაპეტაშვილს; პირველი ტომსკის გუბერნიაში იყო გაგზავნილი, მეორე არხანგელსკისში.

✦ 8 ივნისს ქართლში სოფელ ახრისში მისცვივან ხუთი შეიარაღებული კაცი, მოუთხოვნიათ იოსებ ყანჩაველი. ყანჩაველი მიმხვდარა, რომ კარგ დღეს არ დააყრიდნენ და მიმალულა. პოლიცია ყანჩაველის მოკვლის განზრახვაში ეჭვს მიიტანს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებზე: ვანო გოგნიძეს, ვანო ქრისტესიაშვილს, სანდრო ბეთლემაშვილს და თედო ტურუნაშვილზე, რომელთა დასაჭერათ ზომები მიღებული.

### გადასახლებულთა გაჭირვება.

ვინ არ იცის, რა დიდძალი ხალხია ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული რუსეთის ჩრდილოეთისა და მივარდნილ გუბერნიებში. ამ გადასახლებულებს შორის შეხვდებით ყველა ჯურისა და ერის ხალხს. გადასახლებულთა უმრავლესობას, რა თქმა უნდა, ღარიბნი და ღატაკნი შეადგენენ. ისიც ყველამ იცის, რა გაჭირვებასა და ჯოჯოხეთში არიან ეს გადასახლებულნი. საზოგადოდ გაზეთებში ცოტა იბეჭდება გადასახლებულთა შესახებ და რაც იბეჭდება, ისიც მხოლოდ მკრთალი სურათია სინამდვილის. განსაკუთრებულ გაჭირვებაში არიან სამხრეთ ადგილებიდან გადასახლებულნი. ამათ, სხვა უბედურებასთან, ჰგავსცა სწყენთ ბევრი მოსვლისათანავე ავად ხდება, სნეულდება და წუთი სოფელს ესალმება.

[illegible]ადებიც, როგორც მოგე[illegible]მად არიან გადასახლებულნი [illegible] გუბერნიებში. არ არის ისეთი კუთხე, სადაც კი ადმინისტრატიულად გადასახლებულნი კი სცხოვრობენ, რომ ქართველიც არ იყოს. შემწეობა, როგორც ამათვის, ის, სხვებისთვის არავითარი არ არის და მუდამ დიდ გაჭირვებას იტანენ.

ერთ ისეთ კუთხეს წარმოადგენს ვიატკის გუბერნიის, ორლოვსკის მაზრის სოფელი ვერხოდვორიე, სადაც 150 კაცამდე გადასახლებულია და დაბინავებული. ესენი იმ თავითვე დიდ გაჭირვებას ითმენენ თურმე. სანამ სათათბირო იყო, დიდი იმედი ჰქონდათ, ხმას ამოიღებენ და გვიშველიან რამეო, მათ საერთო ქაღალდიც კი გაუგზავნიათ დეპუტატ წერეთლისთვის. ამ ქაღალდის შინაარსი ადგილობრივ გაზეთ „ვიატსკი კრაი"-ში დაიბეჭდა 25 მაისს. იქ დაწვრილებით აწერილია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც გადასახლებულნი იმყოფებიან. შევიწროვება, თავ მოყვარეობის შელახვა, შიმშილი, სისასტიკე—ყველა იმათ ხვედრად გადაიქცა.

დაითხოვეს სათათბირო და იმედი გაუცრუვდა, ამასთან გაჭირვებაც გაორკეცდა. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ყველამ და, სხვათა შორის, ქართველმა საზოგადოებამაც, გადასახლებულთა თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენენ. საჭიროა დახმარება, ვისაც რითი შეუძლიან. მცირედიც-კი დიდ ნუგეშს მისცემს ტანჯვაში მყოფ მოძმეებს.

შემოწირულება შეიძლება გაიგზავნოს ამ ადრესით: Село Верходворье, Ордовскаго уѣзда, Вятской губерніи Степану Еремѣевичу Коврову.

## პრესსა

მკითხველთ ახსოვთ ალბად ის ფაქტი, რომ კადეტები, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონი დარჩნენ, როცა პოლონელთა კოლომ სახელ. სათათბიროს წარუდგინა თავის პროექტი პოლონეთის ავტონომიის შესახებ, კადეტთა პრესსა პირდაპირ არ ამბობდა მაშინ თავის უკმაყოფილების მიზეზს და უფრო ფორმალურ გარემოებებზე უთითებდა: წინდაწინვე არ შეგვატყობინეს პოლონელ დეპუტატებმა თავისი განზრახვაო, ცოტა უნდა მოეცადათო და სხვა. ჩვენის ფიქრით, ამ ინციდენტს ცოტად თუ მევ რად ნათელს ჰფენს ცნობილ პროფესორის ა. პოგოდინის წერილი გაზეთ „რეჩ"-ში. პროფესორი, სხვათა შორის, ამბობს:

ჩემზე ამბობენ, რომ თურმე მე მტერი ვარ პოლონელებისა, მაგრამ არა მწამს პოლონეთის ავტონომია. ეს სავსებით მართალი არაა: ჩემის რწმენით, მე ფედერალისტი ვარ და მომხრე ვარ, რომ რუსეთის ყველა განაპირა ქვეყნებს ფართო თვითმმართველობა მიენიჭოს. მაგრამ თანაც ვფიქრობ, რომ პოლონეთის ავტონომიის განხორციელება **ახლო მომავალში** გაჭირდება. ამისათვის საჭიროა ჯერ ნიადაგი მომზადდეს და პოლონეთში ჯერ საერობო და ქალაქის თვითმმართველობა იქმნას შემოღებული. მე კარგად ვიცნობ პოლონეთის ერს და ნათლად ვხედავ, როგორ ცუდათ მოქმედებს მის სულიერს ყოფაზე, მის ფსიხიკაზე მუდმივი იმედები და მუდმივი სასოწარკვეთილება; ამიტომ, ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება თვით პოლონელთათვის, პირველ ხანად უფრო რეალური მიზანი, უფრო ადვილად განსახორციელებელი საგანი დავისახოთ, ვიდრე ისეთი დაპირებანი მივცეთ, რომელნიც აღელვებენ და აშფოთებენ პოლონეთის ერის სულს და რომელთა განხორციელება არ შეგვიძლია.

გამოდის, რომ პოლონელთა ერის სულის სიმშვიდე, რომელზედაც ასე ზრუნავს პროფესორი, იმისგანაა დამოკიდებული, თუ როგორ დაპირებას აძლევენ კადეტები პოლონელთ! ნუ ვპირდებით იმას, რის ასრულება არ შეგვიძლიაო ახლო მომავალში, და პოლონელნი დამშვიდდებიან კიდეც, თან „რეალურ" მიზანს დაისახავენ ჩვენს გემოვნებასა და არჩევანზეო... კარგი რეცეპტია და ფუ[illegible]ამ გზით იარეს კადეტებმა, მალე თავის აგრარულ პროექტსაც დაანებებენ თავს, რადგან მისი განხორციელებაც „ახლო მომავალში" გასაჭირია და „მუდმივი იმედი და სასოწარკვეთილება" გლეხების სულიერს განწყობილებაზე-ფსიხიკაზედაც ცუდათ მოქმედებს"!

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

16 და 18 ივნისს.

ამ კრებაზე მიღებულ იქმნა შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. საბჭომ მოლაპარაკება უნდა გამართოს ფოთის ქალაქის თვით-მართველობასთან იმ აზრით, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს შავი ქვის მექანიკურად დატვირთვა; 2. კრებამ სცნო რა თავის ვალად ფოთის მუშების ბინის მოწყობა და სამკურნალო დახმარების მოწყობა, მიანდო საბჭოს ექსპორტერთა შორის შეკრიფოს საჭირო ფული, რომლის ერთი ნაწილიც უნდა გადაეცეს მუშებს ბინის ქირად, ხოლო მეორე ნაწილი საექიმო საქმეს უნდა მოხმარდეს; 3. გადაიდოს თანხა აბანოს შესაკეთებლად ფოთში და ამავე დროს საბჭომ მოლაპარაკება გამართოს ფოთის ქალაქის თვით-მმართველობასთან ამ [illegible]აგნის შესახებ. თანხის რაოდენობის

## ფელეტონი

### თანამედროვე საკითხები

(შემდეგი *)

წინა წერილებში განვიხილეთ ის, თუ როგორა სწყვეტავს სოციალურ პრობლემას მარქსიზმი. ჩვენ დავ ნახეთ, რომ მარქსისტული შეხედულება ისტორიაზე არა მართლდება, რომ ეკონომიურ ცხოვრებას არავითარი ისეთი კანონი არ ამოძრავებს, რომელიც მას სტიქიურად სოციალიზმისაკენ მიაქანებდეს. ვნახოთ ეხლა, რა გვარ ტაქტიკას ადგია სოციალ-დემოკრატია; ვნახოთ, რამდენად სასარგებლოა ეს ტაქტიკა იმ იდეალის განსახორციელებლად, რომელიც სოციალისტებსა და ამათ შორის სოციალ-დემოკრატებსაც დაუსახავთ.

თითქმის ყველა სოციალისტი თავის თავს მარქსის ნათესავადა სთვლის. ზოგი სავსებით ეთანხმება, ზოგი კრიტიკის თვალით უცქერის ცალკე დებულებებს და მარქსიზმის ძირითად საფუძვლებს კი ეთანხმება. არიან ისეთი მარქსისტებიც, რომელნიც ანარქისტულ იდეებს თანაუგრძნობენ და უკანასკნელთა ტაქტიკას იღებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრი სოციალისტი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იმ ახალ დროის ცრუ-მორწმუნოებისაგან, რომელსაც სახელად „მეცნიერული სოციალიზმი" ეწოდება. თუმცა მარქსიზმის ეს, ასე ვთქვათ, ერეტიკოსები, მარქსიზმს ბევრს საკითხში არ ეთანხმებიან, ხშირად მათის კრიტიკის შემდეგ მარქსიზმის საკუთარი, განსაკუთრებული ელფერი სრულიად იკარგება, მაგრამ ისინი მაინც კიდევ დაჟინებით ებღაუჭებიან ტრადიციულ ტერმინოლოგიას და ეშინიანთ ან არ უნდათ პირდაპირ და თამამად განაცხადონ, რომ მარქსიზმი დღევანდელის სახით დასაგმობი მეტაფიზიკაა, ისეთი მოძღვრებაა, რომელიც პროლეტარიატის სოციალისტურ შეგნებასა და იმის ნაყოფიერს პრაქტიკულ მოქმედებას საშინლად აფერხებს და აბნელებს.

ამაზე ეხლა არ შევჩერდები. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ამ საკითხებს კიდევ დავუბრუნდებით და მაშინ გამოვარკვევთ, თუ რა მავნე მეტაფიზიკასავრცელებენ სოციალ-დემოკრატები მეცნიერების მაგიერად და ამით რანაირს უშედეგო და უნაყოფო დოგმატიზმს უნერგავენ პროლეტარიატს, რომელიც უამისოდ გაცილებით მეტს აქტივობას, მეტს უნარს გამოიჩენდა ბრძოლაში და ისე არ დახურდავდებოდა გრძნობებითა და აზრებით, როგორც ეს სოციალ-დემოკრატების სამფლობელოებში მოხდა.

რანაირიც უნდა იყოს ხასიათი ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიისა, როგორც უნდა განსხვავდებოდნენ წვრილმანებში ერთმანეთისაგან, რანაირი განსაკუთრებული ტენდენციებიც უნდა გამოსჭვიოდეს ამა თუ იმ მიმდინარეობაში, ყველა ამათი ტაქტიკა მაინც მარქსიზმის ძირითად საფუძვლისაგან გამომდინარეობს. ამ რამდენისამე ხნის წინად ერთი ქართველი ანარქისტი, კ. ორ—იანი, სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმი შედეგია იმ წინააღმდეგობისა, რომელიც სოციალ დემოკრატების ტაქტიკასა და მსოფლ-მხედველობის შორის არსებობს. ასეთ აზრს ჩვენ არ ვეთანხმებით. ჩვენის წარმოდგენით, სოციალ-დემოკრატების ოპორტუნისტობა ლოღიკური, ბუნებრივი დასკვნაა იმ ერთსულოვნებისა, რომელიც სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობასა და ტაქტიკის შორის არსებობს.

უკვე ვიცით, რაშიაცა მდგომარეობს ქვა-კუთხედი სოციალ-დემოკრატების მსოფლ-მხედველობისა. ეს არის საწარმოვო ძალთა განვითარებით გამოწვეული პროლეტარიზაცია და კონცენტრაცია კაპიტალებისა, რომელსაც ფატალურის აუცილებლობით უნდა მოჰყვეს სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება, სოციალური რევოლიუცია და შემდეგ სოციალიზმი. სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდების აზრი სოციალ-დემოკრატებს იმიტომ დაებადათ, რომ მიმდინარეობა ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა, მათის აზრით, ამას უკარნახებდა. კაპიტალისტურ წეს-წყობილების ევოლიუციის რკინის კანონი ასწავლიდა მათ, რომ სოციალიზმის განხორციელება სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებით შეიძლებაო. სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება კი შეიძლება იმ საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ შექმნა—საარჩევნო უფლებით და რაკი სოციალ-დემოკრატია ერთხელ დაეშვა ამ თავ-დაღმართზე, რაკი ერთხელ აღიარა ბრძოლის საშუალებად საარჩევნო უფლება, მან თავის შემაგრება ვეღარ მოახერხა და ვერც შეეძლო მოეხერხებინა. მოლიპული გზა სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნიზმისაკენ მიაქანებს. ბევრგან ოპორტუნისტულმა ტენდენციებმა უკვე იჩინა თავი და აშკარად გამორკვეული ხასიათი მიიღო, როგორც, მაგ., გერმანიაში და საფრანგეთში, ბევრგან კი ეს ოპორტუნიზმი უკვე ჩასახულია და დღეს არა ხვალ მთელის თავის სიძლიერით იჩენს თავს.

ჩვენ ამ ჟამად მარქსისტების იმ ნაწილზე შევჩერდებით, რომელმაც ორთოდოქსალური ხასიათი მიიღო,—სოციალ-დემოკრატებზე. სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებით გერმანიაში არიან ძლიერნი. მართლ-მორწმუნოება იმაზე შორს ვერ წავა, სადამდისაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია მივიდა. გაიხსენეთ ის აყალ-მაყალი, რომელიც ბერნშტეინის თხზულებამ გამოიწვია. გერმანიის სოციალ-დემოკრატია აზროვნების ერთგვარობას თხოულობს, ჰგმობს ყველას, ვისაც კი მარქსიზმის ცალ-ხაზიანი დოქტრინა არა სწამს ან სისტემაში შესწორება შეაქვს. ამითი მე, რასაკვირველია, ის არ მინდა ვსთქვა, რომ ბერნშტეინი ყველა თავის ნაწერებში ჭეშმარიტ აზრებს გამოსთქვამს. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ფანატიზმი, რომელიც ყოველ-გვარ დოგმატიურ მსოფლმხედველობის და ორთოდოქსიის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს, გერმანიაში უკიდურეს წერტილამდე მივიდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ტიპიური წარმომადგენელია უკვე დამთავრებულ ორთოდოქსიისა და ამიტომ ტაქტიკის დაფასების დროს განსაკუთრებით მას მივაქცევთ ყურადღებას.

გერმანიიდან სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება რუსეთში გადმოვიდა, რუსეთიდან კი ჩვენში გადმოინერგა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას სავსებითა აქვს შეთვისებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პრინციპები და ბრძოლის ტაქტიკა და ყოველ ღონისძიებასაც იღებს, რომ თავის უფროს „ამხანაგებს" უკან არ ჩამორჩეს. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა მუშაობა: რუსეთში ჯერ ისევ აბსოლუტური წეს-წყობილებაა გამეფებული და ყოველ სოციალისტურ პარტიის მახლობელ მიზანსაც სამართლიანად ამ აბსოლუტურ წეს-წყობილების დანგრევა შეადგენს. უეჭველია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიას პირობების შესაფერისი საბრძოლველი ტაქტიკაც უნდა გამოეძებნა. არ შეგვიძლიან დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავის დანიშნულებას მიაღწია. „ბოლშევიკებმა" სარევოლიუციო ტაქტიკას „მენშევიკები" თავ გამოდებით ებრძვიან და ამით, რასაკვირველია, ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, თუ რა ბრმა მონები არიან დოგმებისა. უფრო დამახინჯებული და ავადმყოფური ხასიათი მიიღო სოციალ-დემოკრატიამ ჩვენში, მაგრამ ამაზე აქ აღარ შევჩერდები.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, სოციალ-დემოკრატებს სოციალიზმის განხორციელება სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებით სურთ. ამ იმედებს სოციალ-დემოკრატია ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის პროცესსი მცხოვრებთა უმრავლესობას ისეთს პირობებში ჩააყენებს, რომ ერთადერთი საშველი გზა სოციალიზმი-ღა გახდებაო. რა თქმა უნდა, თუ მთელი ისტორიული ცხოვრება იქითკენ არის მიმართული, რომ მცხოვრებთა აუარებელი მასსა გაპროლეტაროს და დანარჩენი კი იმის ძლევა-მოსილ დროშას დაუქვემდებაროს და იმის გავლენის ქვეშ ამყოფოს, სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებით სოციალიზმის განხორციელებაზე ოცნება კიდევ შეიძლებოდა, თუმცა ჩვენ, როგორც წინათაცა ვსთქვით, ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია. რადგან ეს ასე არა ხდება, სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდებიან და ეხლაც იძულებულნი არიან თავიანთი პარტია არა პროლეტარულ ელემენტებით შეავსონ. სახელმწიფო ძალის ხელში ჩასაგდებად საარჩევნო უფლების შემწეობით აუცილებლად საჭიროა, რომ პარლამენტის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებოდეს. პარლამენტის უმრავლესობა კი სოციალ-დემოკრატებისაგან მხოლოდ მაშინ შესდგება, როდესაც მცხოვრებთა უმრავლესობაც სოციალ-დემოკრატები იქნებიან. და რადგან, ამათის წარმოდგენით, მდგო-

*) იხ. „ისარი" № 133

მუხაზე კრება მსჯელობდა იქნიებს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს; 4. დაუბრუნდეთ [illegible] ის ფული, რომელიც მათ გამოურთმევიათ საქონლის [illegible] ამ შუამდგომლობის, თუ [illegible]; 5. კვლავ განახლდეს შუამდგომლობა გზათა სამინისტროს და კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე ამ საგანზე [illegible]; 6. იმავე რკინის გზის ფარგლებში [illegible]; 7) რომ [illegible] გზები, ტროტუარები [illegible] [illegible]; 8) რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

დახასიათება, 18 ივნისის კრებამ, მიიღო [illegible] [illegible].

19 ივნისი.

კრებამ მოისმინა საბჭოს მოხსენება [illegible] [illegible] საქონელი საჩხერიდამ რომ შორაპნიდან გაეგზავნოთ, ისევ 10 კაპეიკს გადაგვახდევინებენ.

მოხსენების დაკითხვის შემდეგ გ. ზდანოვიჩმა აუწყა კრებას, რომ პეტერბურგში ყოფნის დროს მას ჰქონია ლაპარაკი სატარიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა თურმე, რომ დღევანდელი დრო უხერხულია ლაპარაკი აღიძრას ტარიფის შემცირების შესახებ. გარდა ამისა ზდანოვიჩმა კრებას აცნობა, სამხრეთ რუსეთის მექარხნეებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ საზღვარ-გარედ გატანილ შავ-ქვაზე დაწესდეს ბაჟი, იმ აზრით, რომ ხელი შეეწყოს რუსეთის წარმოების აღორძინებისათ. ასეთი შუამდგომლობა, რამდენადაც მე ვიციო, სთქვა ზდანოვიჩმა, შეწყნარებული არ იქნება, მაგრამ მეორე შუამდგომლობა სამხრეთ რუსეთის მექარხნეებისა, რომ რუსეთში გატანილ შავ-ქვაზე შემცირებული ტარიფი დაწესდეს, შესაძლებელია შეიწყნარონ. როცა ამ საგანზე იყო მსჯელობა, მეც მიმიწვიეს და სხვებთან ერთად მეც ხმა მივეცი იმას, რომ რუსეთში გატანილ შავ-ქვაზე მცირე ტარიფი დაწესებულიყოო. ამ განცხადებამ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია.

**ი. პერსენაკი**. თუ ეს შუამდგომლობა შეიწყნარა სამინისტრომ, მაშინ შესაძლებელია ჩვენი შავი ქვა დაკლებულის ფასით წაიღონ რუსეთში, აქედან საზღვარგარეთ გაგზავნონ და ჩვენვე გაგვიწიონ კონკურენცია

**გოგიბერიძე.** საკითხის ასეთი დაყენება შეუძლებელია. მრეწველთა კრება არ უნდა მიემხროს გ. ზდანოვიჩის აზრს, რადგან იგი, გარდა იმისა რომ მრეწველთათვის საზარალოა, პროტექციონიზმის მომასწავებელია.

**გ. ზდანოვიჩი**. როცა მე ხმა მივეცი ტარიფის დაკლებას რუსეთში გატანილ შავ ქვაზე, თავდაპირველად იმ აზრით ვხელმძღვანელობდი, რომ თუ შუამდგომლობა სამხრეთ რუსეთის მექარხნეებისა გამართლდებოდა, მაშინ ჩვენი მუდმივი სურვილი ტარიფის დაკლების შესახებ სანახევროთ განხორციელდებოდა. ასეთი დაკლება ფასისა არავითარ გავლენას არ იქონიებს მადნის გატანაზე საზღვარ-გარედ. კიცხვი პროტექციონიზმის შესახებ უსაფუძვლოა, რადგან იგი დიდი ხანია არსებობს სამხრეთის მექარხნეთათვის და ფასის დაკლება საქმეს შეამსუბუქებს და არა გაამძნელებს.

თვლიშულმა კამათმა ამ საგნის შესახებ დიდ ხანს გასტანა და კრების დასასრულ ერთხმად გადასწყდა, აღიძრას შუამდგომლობა საზოგადოდ ტარიფის დაკლების შესახებ, როცა ამას მოხერხებულად დაინახავს მრეწველთა საბჭო; ბ-ნ მოსეშვილის მიერ აღძრულ საკითხის გამო—რა პასუხი უნდა გასცეს საბჭომ, თუ მას შეეკითხნენ ფასის დაკლების შესახებ რუსეთში გატანილ მადანზე, კრებამ საჭიროდ სცნო, რომ საბჭომ თანხმობა განაცხადოს ამ დაკლებაზე.

კრებამ ერთხმად მიიღო მეორე წინადადება საბჭოსი, რომ შუამდგომლობა აღიძრას შემცირდეს ტარიფი შორაპნიდან საჩხერემდე ყოველ გვარ საქონელზე,

თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ აირჩია საფინანსო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოს მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და კრებაზე არჩეულ კომისიების მიერ შემუშავებული მოსაზრებანი საავადმყოფოს შენობის აგების, სასადილოების მოწყობის, წყლის საყვანის და სხვათა შესახებ. კომისიაში მოჰყვნენ. ი. ლორთქიფანიძე, ბარ. მოსეშვილი, ფ. დარჩია, ნ. ყიფშიძე, ლ. ჩაჩანიძე, ვ. ქადაგიძე, კ. წერეთელი, ს. ქვარიანი, ა. წერეთელი, ნ. ქუთათელაძე და ი. პერსენაკი. კრება გადიდო 20 ივნისისათვის,

# პატარა ფელეტონი

## მე ჩემთვის, შენც ჩემთვის.

— ეს „დუმაც“ რომ დაგვიხურეს?!..

ასე შემომჩივის, ცალი ყბით, ერთი „შეგნებული“ და თვალებში შემომცქერის: რას იტყვისო?

რა არა უთხარი რა, მკითხა გულ-ახდილად: „ვიგლოვოთ თუ ვიცინოთო?“

— თუ ბუსავით დიდი თავი გაქვს... მაგრამ უკაცრაულად ლარ გკ დრებ, ერთ ამბავს კი მოგახსენებ.

როცა პირველს მიჯნურს პირველი სატრფო მოუკვდა, ისეთი გლოვა და ვაება შექნა, რომ ბუნება მისის ცოდვით დაიწვა.

მზე დაბნელდა და მთვარე დაცხრა, ხეთ ფოთოლი დაჰყარა და ყვავილი დაჭკნა, მფრინველთა გუნდმა მხიარული გალობა გლოვის ზარად შესცვალა და ჩანჩქერმა ჩურჩული დაიწყო.

მაგრამ განვლო მცირე ხანმა, ჯერ ბუნებას შავები არ გაეხადნა, მიჯნურმა კი დაივიწყა დაუვიწყარი სატრფო და სხვას გაუარშიყდა.

რა ნახა ბუნებამ კაცის უხანობა, წყრომით ასე უთხრა:

„ერიჰა!.. მე შენთვის ძაძი ჩავიცვი, მეგონა, შენს დღეს გლოვაში დალევო, შენ კი ახალს საყვარელს მისჯდომიხარ, ტყუილი ყოფილა შენი ჭირი და ლხინიც. მშვიდობით, ძმაო, შენ შენთვის, მე ჩემთვის!“

მას აქეთ წუთი-სოფელს სჯულად დაედო: შენ შენთვის, მე ჩემთვის.

ნახე, „დუმა“ გაჰყარეს და თითქო არაფერი მომხდარაო, წესიერება არსად დარღვეულა და ბირჟაც გამოკეთდა. ჭირის უფალმა ერთს კვირაში გამოიგლოვა, ახლა გულ-ამღვრეული თუმცა ოხრავს, მაგრამ წყნარადა ზის და თავისთვის ნამკვდრევს ანგარიშობს.

შენ რადა გაქვს თავში სალცემი?

რად გაწუხებს „დუმის“ დათხოვნა დღენაკლულისა და აბუჩად აგდებულისა? რას გარგებდა „დუმა“, რომელსაც შენთვის არც სცხელოდა, არცა სციოდა?.. მე ჩემთვის, შენ შენთვის.

მართალია, ვისაც ჭკუა ჰქონდა, იმან ერთი კერძი მაინც ასაალო თავისიანების სარჩენად, მაგრამ ჩვენ როდის გვქონია ჭკუა? ნიჭი გვაქვს და გულ წრფელობა სხვის სასარგებლოდ, ჭკუა რა ჩვენი საქმეა!

რათ გწყინს, რომ რვა დეპუტატის მაგიერ ორიღა გვეყოლება?

ვინ იცის, ეგების ეგრე სჯობდეს. ახლა ხომ აშკარად ამოგვკვრეს ცხვირში და შეგვაგნებინეს წუთი-სოფლის სჯული: შენ შენთვის, მე ჩემთვისაო..

ღვთით, მესამე „დუმის“ დათხოვნაზედ იმასაც შევიტყობთ, რომ ვინც თავის ნიჭსა და გულწრფელობას სხვას მოანდომებს, თავისთვის კი ჭკუასაც არ დაინარჩუნებს, იმას საიქიოს დიდი სახელი ექნება, სააქაოს კი ასე უბძანებენ: მე ჩემთვის, შენც ჩემთვისაო...

**რიჩ ბაბა.**

## ცოტა რამ ს.-დემოკრატების საქციელზე

(წერილი ყვირილიდან)

ყველას ეცოდინება, რომ ჭიათურაში არსებობს უმუშევართა ბიურო. ბიუროს აზრადა აქვს უადგილოდ დარჩენილებს სამუშაო უშოვნოს, და თუ სადმე სამუშაო გამოჩნდება, ბიურომ უნდა შეატყობინოს ყველა პარტიას, მოხდება კრება და პარტიები ბიუროსთან ერთად, გაუნაწილებენ სამუშაოს იმ მუშებს, რომელნით უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ბიუროს კი პარტიების დაუკითხავად სამუშაოს განაწილება რომელიმე მუშებისათვის არ შეუძლიან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფოთში სამუშაო გაჩნდა და ჭიათურიდან ყველა პარტიის გადაწყვეტილებითა და თანხმობით გაიგზავნა 60 მუშა. დღეს, ყველა ამაების მიუხედავად, ვიღაც ს. დ. მრეწველს მიჰყავს ჭიათურიდან ყვირილას 15 მუშა თვის წარმომადგენლით იქ მყოფ პარტიების დაუკითხავად და მასთან მოაქვს ქაღალდი, რომელსაც აკრავს ს.-დ. ორგანიზაციის ბეჭედი. ეს ბეჭედ-დაკრული ქაღალდი დამამტკიცებელია იმისა, რომ მუშების გამოგზავნაში მონაწილეობას იღებდნენ ს.—დები. მუშები მრეწველს წამოეყვანა შემდეგის პირობით: მათ ყოველ კვირა-უქმე დღეში უნდა მიეცემოდათ ოცი ვაგონი, თარიღი იმათთვის უნდა ეთხოვებინათ ადგილობრივ მუშებს და უნდა აეღოთ ორი იმდენი თითოეულ ვაგონის დატვირთვაში, რამდენსაც იღებენ საქმე დღეს იმავე ვაგონის რიცხვზე ადგილობრივი მუშები, ე. ი. 6 ან 8 მანეთი.

ზემოდ დასახელებულმა მრეწველმა ამ პირობით წამოიყვანა მუშები და შემდეგ კი დარჩენ მრეწველებს გამოუცხადა: ორ მანეთადაც თანახმანი იქნებიან ჩემ მიერ ჩამოყვანილი მუშები, რომ თითოეული ვაგონი დატვირთონ. ჯერ ერთი ისა, რომ გარკვეულ არც რომელსამე მრეწველს, არც ნიუროს, არც ს.-დე-ბის ორგანიზაციას და არც ყველას ამათ ერთად არ შეეძლოთ მუშებისათვის სამუშაოს განაწილება და არც მათი ყვირილაში ჩამოყვანა ჭიათურაში არსებულ ყველა პარტიების დაუკითხავად. მეორე ისა, რომ თუ ყვირილაში ადგილი გამოჩნდებოდა, ეს ადგილები უპირველეს ყოვლისა უნდა მისცემოდათ ადგილობრივ მუშებს, რომელთა რიცხვი 40-დის ადის. ასეთმა საქციელმა მუშები ძლიერ არივდარია, მოსულსა და ადგილობრივ მუშებს შორის უთანხმოება დაბადა. როდესაც ს. ფ-ებმა ეს გაიგეს, მიიწვიეს ს.-დემ. იმის გამოსარკვევათ, თუ ვინ იყო დამნაშავე მუშების ჩამოყვანაში. კრებაზე ს.-დემ-ებმა ჩვეულებრივი უსაფუძვლო თავის მართლება დაიწყეს და მასთან მოწინააღმდეგეებს დაუწყეს მტყუნება ალბად ისინი ხელმძღვანელობდნენ შემდეგით: «წყალს გაღმა შეეცილე და გამოღმა დაგრჩებაო». კრებაზე მოწმეებით ნამდვილად დამტკიცდა ყველა ის, რაც ზევით მოგახსენეთ. მათ თავის გასამართლებელ საბუთად დაასახელეს ის, რომ ის მრეწველი, რომელმაც მუშები ჩამოიყვანა, რადგან მრეწველია და მასთან ასეთი საქმე ჩაიდინა, პარტიის წევრი არ იქნებაო. აი ლოღიკა! როდესაც ეს არ გამოადგათ მოიყვანეს შემდეგი: ეს 15 მუშა აქ კონკურენციის გასაწევად არ მოსულა და თუ მათ დაპირებულ ფასებში არ ექნებათ სამუშაო, არ დათანხმდებიანო. მუშებს შორის არასოდეს უთანხმოება არ მოხდებაო; შეგნებულ მუშებს არასოდეს თითონ კონკურენციის გაწევა მუშებთან სამუშაოზე არა სურთ. თუ მათ საცხოვრებელი საშვალება ექნებათ და მათ ხრიკების საშუალებით ერთმანეთს ვინმე არ გადაკიდებთ. მაგრამ ყვირილაში მოყვანილ 15 მუშას, რომ საცხოვრებელი სახსარი არ აქვთ, ეს ცხადია; ცხადია ისიც, რომ მრეწველის ხრიკებით მუშებს შორის უთანხმოება დაიბადა.

ბ-ნ ს. დ—ბს არ სცოდნიათ, რომ უთანხმოება მუშებს შორის პირველი მოვლენა არ არის და ისინი კი გაიძახიან: უთანხმოება მუშებს შორის არ მოხდებაო. ბოლოს, როდესაც გამოაჩნდათ „ბრწყინვალე“ ნამოქმედარი ბძანეს: ამ საქმეზე სჯა-ბაასი არ შეიძლება, რადგან აქ ზემოდ დასახელებული მრეწველი არ იმყოფება ან ერთი მითხარით, რა საჭირო იყო მრეწველის იქ ყოფნა, როდესაც რამდენიმე მუშა ამბობდა, რომ ს. ფ—ის მიერ წამოყენებული არგუმენტები მრეწველის და მუშების წარმომადგენელისა და ს. დემოკრატების წინააღმდეგ დიახ საფუძვლიანიო. აბა მეტი რა ეთქმოდათ! ბოლო

მ:რეობა ჰქნის შეგნებას, მცხოვრებთა უმრავლესობა რომ სოციალდემოკრატები იყვნენ, ეს უმრავლესობა აუცილებლად პროლეტარებისაგან უნდა შესდგებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. პროლეტარიზაციის პროცესი არა ხდება, სოციალ-დემოკრატებიც იძულებულნი არიან თავიანთ პარტიაში, ხმების მოსამეტებლად, არა პროლეტარული ელემენტებიც ჩაურიონ. ხოლო ამნაირად შედგენილ პარტიაზე იმედების და ისიც სოციალისტურ იმედების დამყარება ძალიან სახიფათო საქმეა. თვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ბებელმა განაცხადა, ჩვენი პარტიის ზრდას მაინც და მაინც ძალიან ოპტიმისტურად ნუ შევხედავთო.*)

მართლაც და, რითი აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ისეთი ელემენტიც შედის, რომელსაც არც სოციალიზმთან და არც დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლასთან არაფერი საერთო არა აქვს? ეს უნდა აიხსნას განსაკუთრებით იმ უბრალო გარემოებით, რომ გერმანია ჯერ ისევ მონარქიული და ბიუროკრატიული სახელმწიფოა. გერმანიაში ჯერ ისევა მეფობს ისეთი წესები, რომელთა გაუქმებაშიაც ბურჟუაზია საზოგადოდ და წვრილი ბურჟუაზია კი განსაკუთრებით პირდაპირ არის დაინტერესებული. ჯერ ისევ ბიუროკრატიულ-პოლიციური წესწყობილება გერმანიისა არის მიზეზი იმისა, რომ არა პროლეტარული ელემენტი სოციალ-დემოკრატიულ დროშას აფარებს თავს. მაგრამ ასე არ იქნება ყოველთვის. საკმაოა გერმანიის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება შეიცვალოს, ან საკმაოა სოციალ-დემოკრატიამ ერთი ისეთი ნაბიჯი მაინც გადადგას, რომელიც ბურჟუაზიულ წეს-წყობილების საფუძვლებს ეწინააღმდეგება, რომ აუარებელი წევრი და ხმა ჩამოშორდეს. ამას გერმანიის უკანასკნელი არჩევნებიც მჭერ-მეტყველურად გვიჩვენებს, ანალოგიურ პირობებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენმა ხალხმა ნდობა სოციალ-დემოკრატებს გამოუცხადა. კარგა ხანს საქართველოში ერთად-ერთი მებრძოლი პარტია სოციალ-დემოკრატია იყო, და ამიტომ წვრილი ბურჟუაზიაც მას მიემხრო. მხოლოდ ამითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოდან წარმომადგენლებად მარტო სოციალ-დემოკრატები წავიდნენ. მაგრამ აქედან რასაკვირველია, არ შეიძლება იმისი დასკვნა, რომ ყველა ის, ვინც კი ეხლანდელ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებს თეთრი კენჭი მისცა, სოციალიზმისთვის დაიწყებს ბრძოლას. პირ-იქით, ის უფრო მოსალოდნელია, რომ თუ დღეს სოციალურ რევოლიუციის დაწყება შესაძლებელი გახდება, მთელი ნახევარი სოციალ-დემოკრატების ამომრჩევლებისა კონტრ-რევოლიუციონერთა არმიას შეადგენს.

ეს ძალიან კარგად იციან სოციალ-დემოკრატებმა, მაგრამ მაინც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამას, რადგან მათს სანატრელ განზრახვას მხოლოდ ის შეადგენს, რომ პარლამენტის უმრავლესობა ხელში ჩაიგდონ და სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებით სოციალიზმი განახორციელონ*.)

ეს ერთი მხარეა იმ სიყალბისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატების ტაქტიკაში ვხედავთ. მეორე სიყალბე მდგომარეობს იმაში, რომ იგი დღითი-დღე ჰკარგავს თავის სარევოლიუციო და სოციალისტურ ელფერს და იქცევა პარტიად მოწინავე დემოკრატიისა. დემოკრატიზმისაკენ დიდის სიამოვნებით დაულოცავთ გზას, მივესალმებით კიდეც მას, როგორც უკეთესად დამცველს დემოკრატიულ პრინციპებისას; მაგრამ, როდესაც სოციალისტების თვალსაზრისზე დავადგებით, არ შეგვიძლიან საჯაროდ არა ვთქვათ, რომ ისინი ატყუებენ ქვეყანას, როდესაც ამბობენ, სოციალისტურს საქმეს ვაკეთებთო. ისინი დემოკრატიულ პრინციპებს ახორციელებენ, სოციალისტური მუშაობა არ უნდათ, საფუძველთა ხელის შეხებისა ისე ეშინიათ, როგორც ბურჟუებს, ხალხს კი ეუბნებიან—სოციალიზმის ხსნა მხოლოდ ჩვენშიაო. სოციალდემოკრატიული პარტია მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებს ანხორციელებს, თუმცა ძალიან ხშირად დემოკრატიულ პრინციპების განხორციელება სოციალისტურ მუშაობის შეჩერებასა ნიშნავს. ასეა თუ ისე, რახან სოციალ-დემოკრატიული პარტია დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებას კისრულობს, უნდა იკისროს ის შედეგებიც, რომლებიც ჩვეულებრივად ამნაირს მუშაობას მოჰყვება ხოლმე. ის ათასნაირ კომბინაციაში უნდა შევიდეს ხოლმე ბურჟუაზიულ პარტიებთან და ამ რიგად ოპორტუნიზმის ხილი იგემოს.

ამ რიგად, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არა პროლეტარულ ელემენტის შერევამ და მისმა არა სოციალისტურმა ტაქტიკამ იქამდის მიიყვანა ეს პარტია, რომ დღეს იგი ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიებისაგან ძალიან ცოტათი განსხვავდება. თუმცა ლიდერები სოციალ დემოკრატიულ პარტიისა დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მილლერანსა, ჟორესსა, ბერნშტეინსა და სხვა ამისთანეებთან ჩვენ საერთო არა გვაქვს რა, ისინი ოპორტუნისტები არიან, ჩვენ კი წმინდა წყლის სოციალისტები ვართო, მაგრამ არსებითად ისინი მილლერანსა და ბერნშტეინისაგან არაფრით არ განსხვავდებიან. განსხვავება მხოლოდ ერთშია: ბერნშტეინს იმოდენა მოქალაქეობრივი გამბედაობა კიდევ შერჩენია, რომ თავისი ოპორტუნისტობა პირდაპირ და საჯაროდ აღიარა, ორტოდოქსალურ სოციალ-დემოკრატებს კი თავიანთ ნამდვილ ფიზიონომიის გამორკვევა ვერ მოუხერხებიათ და რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიით შეზავებულ პრაქტიკულსა და იდეიურ ოპორტუნიზმს ყოველთვის ისე უპირისპირებენ ხოლმე ბერნშტეინს, როგორც მისგან არსებითად განსხვავებულს.

მაგრამ სცდებიან სოციალ-დემოკრატები. გერმანიაში ოპორტუნისტულმა ფრაქციამ უკვე თავისი იდეოლოგია გაიჩინა. როდესაც სხვაგანაც ამ პარტიის ევოლიუცია თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა, იგი ისეთსავე ოპორტუნისტულ და უბრალო დემოკრატიულ პარტიად გადაიქცევა, როგორიც სხვა მრავალი პარტიაა. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ მსვლელობას, ამ ევოლიუციას სოციალ-დემოკრატიულ პარტიისას. ვერ შეაჩერებს იმიტომ, რომ იმ საფუძველზე, რომელზედაც დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია სდგას, მხოლოდ უბრალო დემოკრატიულ პარტიის აშენება შეიძლება. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ორში ერთი დარჩენია: ან უნდა დემოკრატიულ პარტიებში გაითქვიფოს, დემოკრატიულ ტენდენციებისა და მოთხოვნათა დამცველად გადაიქცეს, ან კიდევ ძირიანად შესცვალოს თავისი საბრძოლველი ტაქტიკა, განთავისუფლდეს დოგმისაგან და აქტიურ სოციალიზმის მომხრედ გამოვიდეს. მაგრამ, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში მას სოციალ-დემოკრატიული აღარაფერი დარჩება, ამას კი ფანატიზმით გამსჭვალული ორტოდოქსის გონება არასოდეს არ დაეთანხმება,—ამ პარტიას ისევ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიებთან გალესვა და გათქვეფა მოელის.

იქნება სოციალ-დემოკრატიას ასეთი პერსპექტივა ძალიანაც არ ეპაშნიკოს, მაგრამ ცხოვრების ულმობელს კანონებს იგი მაინც ვერსად წაუვა.

**არ. ჯ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა ამის შესახებ რ. ბლანკი: 1903 წლის არჩევნების დროს მუშებს სულ 2.620.649 ხმა მიუციათ. აქედან ერთი მესამედი, ბლანკის აზრით, ცენტრს ეკუთვნის. ამ რიგად მუშების წრიდან სოციალ-დემოკრატებისთვის მიუციათ ხმა 1.747.075 კაცს მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატების კანდიდატებმა 3.010,771 ხმა მიიღეს. ცხადია, რომ დანარჩენი 1.263.676 ხმა არა პროლეტარულ ელემენტს, ბიურგერთა კლასს ეკუთვნის. ა. ჯ.

*) ამ მხრით მეტად საყურადღებო საქმე მოხდა ჩვენში. მიუხედავად თავიანთ დოგმატიურ მსოფლ-მხედველობისა, სოციალ-დემოკრატებმა ჩვენში აქტიური მუშაობა დაიწყეს სოფელში, განსაკუთრებით გურიაში. პარტიის განდიდებისა და გაზრდის სურვილით ისე ძალიან იყვნენ გატაცებული ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, რომ მარქსის დოგმაც დაავიწყდათ, გლეხი-კაცის „ანტიკოლლექტივისტური თავის“ ქალაც, მისი რეაქციონერობაცა და კონსერვატორობაც. გურიაში შექმნეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და მერე ასეთის ორგანიზაციებით თითქმის მთელი საქართველო მოჰფინეს. მაგრამ რევოლიუციონური ხანა მიყუჩდა დადგა რეაქცია, სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი ქადაგება იმითი დააგვირგვინეს, რომ ხალხს უნიჭო დეპუტატები ამოარჩევინეს (სოციალ-დემოკრატების ქართველ დეპუტატებში მხოლოდ ორი კაცი შეიძლება ჩაითვალოს ღირსად დეპუტატობისა) და მერე გამოუცხადეს, პარტიული სიწმინდე მოითხოვს, რომ სოფლის არა პროლეტარული ელემენტი, ე. ი. **მთელი გლეხობა** ცალკე დემოკრატიულ ორგანიზაციებად იქმნას გამოყოფილიო, მაგრამ ეს დემოკრატიული ორგანიზაციები კი აუცილებლად სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ, ამისთანა მდგომარეობაში სოციალ-დემოკრატები იმიტომ ჩაცვივდნენ, რომ მათ პარტიის სიწმინდის შენახვაც მოუნდათ და ძალის, წევრთა ხელში შენარჩუნებაც. მტკიცებაც კი მეტია, რომ ამისთანა პოზიცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გაუვალ წინააღმდეგობაში ჩააგდებს. ა. ჯ.

ასტეხეს ყვირილი და ჩვენ ამხანაგს ლაპარაკის ნება არ მისცეს, ერთმა მათგანმა კიდევ ყველას ბალღები უწოდა. კარგი თუ გინდა ამხანაგი ცუდად მოქცეულიყო (რომელიც თქმა არ უნდა ჭეშმარიტებაა), დანარჩენებთან რა საქმე ჰქონდათ? მაგრამ, ასეთი საქციელი მათგან პირველი არ არის, არც მიკვირს. აი, მაგალითიც: წინა დღეს ერთმა მათგანმა წერილი გაგზავნილი ჭიათურაში ჩვენი ამხანაგის სახელზე, გახსნა და წაიკითხა. წერილის შინაარსი არ იყო დასამალავი და არც საინტერესო, მაგრამ საინტერესოა თვით მოვლენა. ასეთ საქმეების ჩადენას ბიუროკრატიას უკიჟინებენ.

ამხანაგების მინდობილობით Vale.

# პროვინციის ცხოვრება

**სოფ. ფლევი** (ზემო ქართლი). ამას წინად სოფელ ძველ ფლევის გლეხებმა მებატონე სოსიკო თარხნიშვილიდან მიიღეს შემდეგი წერილი: „ფლეველებო! კიდევ მოგაგონებთ, გაჩუმებით საქმე არ გაკეთდება. მამულით სარგებლობთ ჩემით, რომელსაც გარდასახადი ადევს. როცა რაიმე გარდასახადის დრო მოვა, უთუოდ მანეთზედ უნდა კანონს მივმართო და ეს თქვენთვის არ არის სასარგებლო და მეც ხარჯში შევდივარ, რომელსაც ვცდილობ თქვენ გარდაგახდევინოთ, რადგანაც ამ ხარჯის მიზეზები თქვენა ხართ. უკანასკნელად მოგაგონებთ, რომ მაისის ფული უნდა მოგეცათ პირველ მაისს, არც მომეცით და არცა, უანგარიშოთ იქცევით, სიჩუმით გარდასახადი არ დაითვარება და სხვ.... სოსიკო თარხნიშვილი“.

აი, ასეთი წერილი მიიღეს გლეხებმა მებატონისაგან; გაჭირვებულმა გლეხობამ ვერ მოახერხა, რომ პირობა შეესრულებინა ან აღნიშნულს ვადაზედ ჩაებარებინა. თარხნიშვილმაც კანონს მიმართა. კანონმაც გლეხებს მიუსაჯა გადახდევინება და 15 ივნისისთვის დანიშნა საჯარო ვაჭრობა მათის ქონების გაყიდვისა სურამში. რის ვაი-ვაგლახით შეეცანდნენ და გაისტუმრეს ფულად. შესაძლებელია მკითხველმა იკითხოს, რა არის მაისის ფული. აი, რა გახლავთ: უთუოდ გლეხი, გარდა ხარჯისა, რომელსაც დღიურზედ იხდის უთუოდ წლივ თორმეტ ფუთს ჭირნახულს, კიდევ იხდიდა წვრილმან გარდასახადს: შობა-აღდგომის ძღვენს, მუშას, გუთანს, შინდას დალას, ერბოს, კვერცხს, ბატკანს, ღორს და სხვას, ეხლა ეს გადასახადი შეკვეცეს და გადასწყვიტეს ფულად, რომელსაც დაერქვა მაისის ფული, და პირობაც დასდეს, რომ უკეთუ მაისის პირველს არ ჩაიბარებენ, ჯარიმა გადახდებათ. აი ამას ეძახიან აქ მაისის ფულს. გლეხობამ დალები, როგორც იყო, მოიშორა და დაიმედებული იყო, რომ მაისის ფული მაინც არ გადაგვხდებაო, მაგრამ მოტყუვდა.

**ზემო ქართლელი.**

# რუსეთი

✦ **ისევ მოუსავლობა.** გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში გამოცხადდება ოფიციალური ცნობები წლევანდელ ნათესების შესახებ შიდა რუსეთში. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს თურმე, ბევრს შარშან დამშეულს გუბერნიაში ახლაც არაა თურმე მოსავლის იმედი და ხალხი უარეს მდგომარეობაში ჩავარდებაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ სია იმ პირთა, რომელთაც შემოსწირეს ფული წყალდიდობისაგან დაზარალებულ სოფ. ყვარლ (თელავის მაზრა) მცხოვრებთა სასარგებლოდ:

თ. მ. ზ. ჭავჭავაძე—25 მან., ი. ა. იარალოვი—25 მან., ა. ა. ტერ-სარქისოვი—15 მ., მ. ი. თათუზოვი—10 მან., გ. ე. ანტონოვი—15 მან., თ. იურ. მ. და ნ. მ. ჭავჭავაძეები—40 მ., თ. ა. რ. ვახვახიშვილი 5 მ., თ. ი. ცისკარიშვილისა—5 მ., ს. დ. აბელოვისა—5 მ., № 1 მ., ნ. ი. ჯიჯავაძისა—2 მ., თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელი—12 მ., 75 კ., მ. ი. ქალანთაროვი (ველისციხელი)—51 მ., 25 კ., თ. სოლ. ჩოკაევ-ჯანდიერი—3 მან., №№ 1 მ., თ. პ. ი. თუმანიშვილი— 100 მან., და იმის შეკრეფილი—25 მ. სულ 336 მან.

დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი ს. ყვარლის მცხოვრებთა სახელით დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ჭავჭავაძე.**

— ქართველ სტუდენტთა კორპორაციამ, რომელიც იმყოფება ჟენევის უნივერსიტეტში, გადასწყვიტა დასდგას რამდენიმე ქართული ისტორიული პიესა, ვინაიდან ჟენეველ მცხოვრებთ აინტერესებს ქართველთა ცხოვრება და მათი ისტორია. რადგან ქართული ტანისამოსი ჩვენ აქ თითქმის სრულიად არა გვაქვს, ამისათვის კორპორაცია მიმართავს ქართველ საზოგადოებას თხოვნით, ვისაც შეუძლიან შეძლების და გვარად დაეხმაროს ამ საქმეს და შემოსწიროს ჩოხები, ქულაჯები, გურული ტანისამოსი, ქართული ქალის კაბები და სხ. მსურველთ შეუძლიანთ ამ ადრესით გამოგზავნონ: Suisse Genève. route caroline 9. m-r Magaloff. კორპორაცია დიდად მადლობელი დარჩება იმათი, რომელნიც ხელს შეუწყობენ მას და დახმარებას აღმოუჩენენ. გარდა ამისა დიდად მოხარულნი ვიქნებით, თუ მოგვაწოდებენ რამდენსამე პიესას: „სამშობლოს“, „და-ძმას“, „ქართველ-დედას», «შოთა რუსთაველს», „ღალატს» და სხვასა.

კორპორაციის პრეზიდენტი **ლეო კერეზელიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივნისი

## რ უ ს ე თ შ ი

**პეტერბურგი.** ხელმწიფემ მოიწონა მოხსენება იმის შესახებ, რომ დაარსდეს განსაკუთრებული აკადემია საზღვაო საგენერალო შტაბისა.

ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გერარდი ორის თვით დაითხოვეს. იმის თანამდებობას დროებით შეასრულებს მე-22 კორპუსის უფროსი ბეკმანი.

**ლოძი.** პერეეზდის ქუჩაზე საღამოს 7 საათზე სამის ტყვიით მოჰკლეს მუშაობიდან დაბრუნებული მუშა.

ქალაქის განაპირა ადგილს ბალუტაში მოჰკლეს ახალგაზდა მუშა.

**ნოვოროსიისკი.** სოფ. აბშტირაში ღამე გაძარცვეს სოფლის სასამართლო და დუქანი 15 შეიარებულმა კაცმა. მოჰკლა დარაჯი და დასჭრა მედუქნე.

**ვარშავა.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა მაგისტრატს განუმარტა, რომ სახელ. სათათბიროს ამრჩეველთა სიაში, პოლონეთში მცხოვრებ რუსთაგან, შევლენ როგორც ჩამომავლობით რუსები, მართლ-მადიდებლები და სტაროობრიადცები ისე პროტესტანტები, რომელნიც თავიანთ თავს რუსებად სთვლიან.

**პროსკუროვი.** ლადოვსკის არყის სახდელი ქარხანა სულ-ერთიან დაიწვა. ცეცხლმა ადამიანებიც იმსხვერპლა.

**პერმი.** სოლიკამსკის მაზრის სოფ. ვერეტიეში ექვსმა ავაზაკმა ბევრი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა. 16 ივნისს გასძარცვეს ფოსტის კონტორა, წაიღეს 600 მანეთი, მოჰკლეს ფოსტის უფროსი და ორი სტრაჟნიკი. მათ სამხედრო რაზმი დაადევნეს, გაიმართა სროლა. ავაზაკთაგანი სამი მოჰკლეს, სხვები მიიმალნენ.

**ეკატერინოსლავი.** სად. გრიშინოზე ცხრა ტყვიით მოჰკლეს ჟანდარმის ვახმისტრი.

**პეტერბურგი.** 20 ივნისს შუადღისას ნავთსადგურთან, იმ სახლში, სადაც ცხოვრობენ, აფეთქება მოხდა. აფეთქების მიზეზი არ იციან.

**კიევი.** ბელცის სადგურში ორი მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. მძიმედ დაშავდა სამი კონდუქტორი, ორი სასიკვდილოდ.

**მოგილიოვი.** ქ. ორშაში, რისკინის სახლის სხვენზე, ებრაელმა ბავშმა ყუმბარა იპოვნა, რომელიც აფეთქდა და ორი ბავშვი დასჭრა.

**ჩენსტოხოვი.** ფაბრიკის ქუჩაზე მოჰკლეს უბნის ზედამხედველი და სტრაჟნიკი.

**ლოძი.** ლოძის მახლობლად პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს მუშა.

**ბახმუტი.** შჩერბაკოვის მაღნის ერთ მუშის სახლის ფანჯარასთან ყუმბარა დაედოთ, რომელიც ძლიერ აფეთქდა და კედელი დაანგრია. მუშის ოჯახობა უვნებლად გადარჩა. ყუმბარის დამდები მუშა დააპატიმრეს.

**რიგა.** ვენდენის მაზრაში ერთი გლეხის სახლში ორი უცნობი შევიდა და სამი მანეთი მოითხოვა, როცა გლეხმა ფულის მიცემა განიზრახა, მათ ესროლეს და იქვე სული გააფრთხობინეს.

**ჩერნიგოვი.** კროლევეცკის მაზრაში საერობო ხმოსნებად უმთავრესად ოქტომბრისტები და მემარჯვენეები აირჩიეს.

## უ ც ხ ო ე თ შ ი

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ს.-დემოკრატების შეკითხვაზე სახ. სათათბიროს დათხოვნის შესახებ მინისტრ-პრეზიდენტმა ბეკმა სთქვა, რომ ინტერპელიაცია ამ საგნის შესახებ უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეში გარევა იქმნება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლების პრინციპებს. მთავრობამ უარ უნდა ჰყოს წინადადება იმის შესახებ, რომ ჰააგის კონფერენციაზე აღძრულ იქნას საკითხი რუსეთის მთავრობის მოქმედების შესახებაო. შემდეგ ბეკმა მწუხარება განაცხადა, რუსის მთავრობას ძლიერ ჰკიცხავენო. იმის შესახებ, რომ რუსის მთავრობას სესხის აღება ავსტრიის შემწეობით სურსო, ბეკმა განაცხადა, ამაზე ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით და თუ საქმე მოლაპარაკებამდი მივიდა, ავსტრია მხოლოდ საქმიანის მოსაზრებით იხელმძღვანელებსო.

**თიუსერბაი.** რუზველტის მახლობელნი აცხადებენ, რომ სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობა, ვითომ ამერიკა 18 სამხედრო გემს ატლანტიის ოკეანედან დიდ ოკეანეში ჰგზავნიდესო. რუზველტს ფიქრადაც არ მოსვლია გემების გაგზავნა.

**პეკინი.** 18 ივნისს რობერტ გარტმა და გაიაშიმ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც დალნიში ტამოჟნა უნდა გაიხსნას.

**ბერლინი.** 19 ივნისს პრუსიიდან გააძევეს 7 რუსი, რომელიც აქაური სამკითხველოების რწმუნებულნი იყვნენ. ოთხი სტუდენტი და ერთი ქალი.

**ზაგრები.** 19 ივნისს ქუჩაში ღამე ხორვატთა ახალ ბანის სახლის წინ მანიფესტაცია მოხდა. სტუდენტებმა პატრიოტული სიმღერები დაიწყეს, ბანის სასახლეს მიუახლოვდნენ და ფანჯრების შუშები ჩალეწეს. პოლიციის კომისარი ქვით დასჭრეს.

**ჰონკონგი.** როგორც ჰონკონგიდან იუწყებიან, მთავრობის ჯარი უეცრად შემოერტყა თურმე მეამბოხეებს. 80 მათგანი დაატყვევეს. მეფის მოადგილეს უნდოდა მეთაურის ვინაობის გაგება და ამიტომ ბრძანება გასცა დატყვევებულები ეწამებინათ, მაგრამ ვერავინ გამოსტეხეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი


ტფილისის კბილის საექიმო

## ს კ ო ლ ა ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—17)

ბ-ნ ერასტო სვიმონიძეს

თქვენ, ჩვენ გ. ფ., გ. მ., ი. მ. და ვ. მ. გვიწვევთ სამედიატორო სასამართლოში იმიტომ, რომ ზოგიერთა სცენის მოყვარეები თქვენზედ ავრცელებენ ხმებს, ვითომ თქვენ აგენტების საშუალებით ასაღებდეთ ბილეთებს სხვა და სხვა პარტიის სახელით თქვენ ჯიბის გასასქელებლად. თუმცა ჩვენ ზოგიერთა სცენის მოყვარეები არა ვართ, მაგრამ მაინც მოგყვებით სამედიატორო სასამართლოში სიამოვნებით, მხოლოდ რაც შეიძლება მალე დაგვინიშნეთ დრო და ადგილი. ჩვენის მხრივ მედიატორეებად ვასახელებთ ამხანაგ ძიას და სტეფანეს.

ამხანაგობის მონდობილებით **ვ. მან.**

(1—113—1)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**ღ ო ქ ტ ო რ ი:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. კ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**კ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—99)

ნაჭრებად დაყოფილი

## მშვენიერი ბაღი

ს ა ბ უ რ თ ა ლ ო ზ ე,

თ-დ ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულების შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ. ფასი 1 მან. 2 მანეთამდე თითო ოთხკ. საჟ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. იკითხეთ ვერაზე, წყნეთის ქუჩა, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (3—172—1)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—36)

## მხოლოდ

იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კ ე ფ ი რ ი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—33) პატივ. **ო. კორონა.**

## აუქციონი

ამიერ-კავკასიის სახაზინო რკინის გზების

გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 27 ივნისს, დილის 9 საათზე, ნავთლუღის სადგურზე, ნავთის მილის შენობის საწყობში, დანიშნულია საუქციო გაყიდვა ქონებისა, რომელიც ხმარებაში იყო, სახელდობრ: ხის საცხოვრებელ შენობებისა, სახელოსნოებისა, ნაწყობისა, სარაიებისა, დასაშლელ და გადასატან ბარაკებისა და სხვა საქონლისა და ინვენტარისა.

დაწვრილებითი პირობები აუქციონისა და აწერილობა გასასყიდად დანიშნულ ნივთებისა მსურველს შეუძლიან ნახოს ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე: 1. ნავთის მილის სამშენებლო კანტორაში, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 99 და 2; 2. ბაქოს, განჯის და ბათუმის სადგურების უფროსებთან. (3—6.—3)

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**

## ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის“ გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.** (10—უ —2)

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოდ . . . . 20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . 20 „
კბილის გაწმენდა . . . . . . . . 50 „
„ „ არის უფრო ძვირიც
პლომბა გუდაპერჩისა . . . . . . 50 „
„ „ ცემენტისა. . . . 1 მ.
„ „ მეტალიური. . . . 1 „
„ „ ვერცხლისა ამალგამა 1 „ 50 „
„ „ ემალისა . . . . . 1 „ 50 „
„ „ ფაი ფურისა . . . . 3 „
„ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე.
„ „ წმინდა ოქროსი. . . 3 „
„ „ უფრო ძვირიც.
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:
„ „ დიატორიტიული. . 1 „
„ „ კრამპონისა . . . . . 1 „ 50 „
ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით:
„ „ თითო კავი . . . . . 1 „
შტიფტის კბილები ოქროზე . . 3 „
კორონკა ლოგანისა . . . . . . 4 „
კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ
ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . 1 „
საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ
აპარატი კბილების გასასწორებლად
ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ.
და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ.

(100—ბუხ.—6)

**კურსები კავკასიაში.**

ერთად-ერთი

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**

ბუხჰალტერიისა და საკანცორო ცოდნის კურსები

## გ. ა. პირაკოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმანგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები. (10—124—6)

ერთის სისტემის პროგრამით

**რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ**

## გაფრთხილება

**სავაჭრო სახლის**

## ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვ.

თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)

რადგან დღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების **„სიმპატია“** 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც. 5 კაპ., აგრეთვე № $^7/_{16}$—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას




(10—130—7)

და გვარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და შვ.**

ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ.


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.